



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„გამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 **კახაბერ კირტავა**

11 დეკემბერი 2023 წელი

N 48/36

ეგზ.: N1

შპს „სანდასუფთავეების“ 2021-2022
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი		
	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	6
	აუდიტის მიზანი	7
	აუდიტის მეთოდოლოგია	7
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	7
	2. აუდიტის მიგნებები	8
	საკონტაქტო ინფორმაცია	15

ტერმინები და შემოკლებები

შპს „სანდასუფთავება“ – სანდასუფთავება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია – მერია.

გამარტივებული შესყიდვა – შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ ან 5,000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევებში.

ელექტრონული ტენდერი – 5,000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის დადგენილ პროცედურებს.

პრეტენდენტი – პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური.

სახელმწიფო შესყიდვა – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა.

შესყიდვის ობიექტი – შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო.

შემაჯამებელი მიმოხილვა

შემოსავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „სანდასუფთავების“ 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასთან, პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასებასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი

შემოსავლის მიღებაში არსებული ხარვეზები

შპს „სანდასუფთავებამ“ სათანადოდ ვერ უზრუნველყო თავისუფალი ფულადი სახსრების მართვა, რაც დამატებითი შემოსავლის მიღებას უზრუნველყოფდა.

საწვავის ხარჯვაში არსებული ხარვეზები

შპს „სანდასუფთავებაში“ არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამსახურებრივი დანიშნულებით საწვავის ხარჯვის დადასტურებას. შედეგად, ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე ექსპერტის მიერ დადგენილ ნორმასთან შედარებით, ზედმეტად ჩამოწერილია არანაკლებ 147,770 ლიტრი საწვავი. ამასთანავე, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით მიღებული ავტომანქანების სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების დადასტურების გარეშე ჩამოწერილია 94,727 ლიტრი საწვავი.

ბაზრის კვლევა

ბაზრის კვლევის ხარვეზები

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბაზრის კვლევა სათანადოდ არ არის ჩატარებული, რომლის შედეგად 14 შემთხვევაში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებით შემცირებულია 368,001 ლარით. აღნიშნული გარემოება ერთი პრეტენდენტის არსებობის პირობებში წარმოშობს ფულადი სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკებს.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ხარვეზები

შპს „სანდასუფთავებაში“ არსებულმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ანახვეტის ფაქტობრივად გატანილი მოცულობების დადგენაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა, ვერ მივიღეთ რწმუნება შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯი და მომსახურებისათვის მიღებული შემოსავალი, რამდენად შეესაბამება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობას.

პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასება და მიმწოდებელთან ანგარიშსწორება

პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების და მიმწოდებელთან ანგარიშსწორების ხარვეზები

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა და შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გაწეული მომსახურების ანაზღაურება, რიგ შემთხვევებში ხარვეზებითაა განხორციელებული.

რეკომენდაციები

შპს „სანდასუფთავებას“

რეკომენდაცია N1. შემუშავდეს ისეთი კონტროლის და მართვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებით დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N2. შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე ექსპერტის მიერ დადგენილი ნორმის შესაბამისად საწვავის ხარჯვას. ამასთანავე, პარტნიორთან შეთანხმებით, გონივრულ ვადაში განიხილოს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით მიღებული ავტომანქანების სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების, საწვავის ხარჯვის და ფინანსური ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობის მდგომარეობა.

რეკომენდაცია N3. შპს „სანდასუფთავების“ ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნით შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის სრულფასოვნად ჩატარებას და შესყიდვის საგნის სავარაუდო ფასის სწორად განსაზღვრას.

რეკომენდაცია N4. შპს „სანდასუფთავებამ“ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ანახვეტის გატანის მომსახურების მიმდინარეობაზე ეფექტიან ზედამხედველობას, ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას. ამასთანავე, დაადგინოს არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

რეკომენდაცია N5. შპს „სანდასუფთავების“ ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვან მიდგომას, განსახორციელებელი მომსახურების სათანადო მონიტორინგს და ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების მიხედვით თანხების ანაზღაურებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „სანდასუფთავების“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე; ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამიანობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – შპს „სანდასუფთავების“ საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამიანობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

შპს „სანდასუფთავების“ 2021-2022 წლების საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

შპს „სანდასუფთავების“ მიერ 2021-2022 წლებში განხორციელებული საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანება „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების თაობაზე;
- სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 16 ივნისის N004066821 დასკვნა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ხარჯის ოდენობის შესახებ;
- სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 სექტემბრის N006427019 დასკვნა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ხარჯის ოდენობის შესახებ;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 30 სექტემბრის N610 ბრძანება (განხორციელებული ცვლილებებით) „შპს „სანდასუფთავების“ სამტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

- აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი;
 - დოკუმენტური შემოწმება;
 - ფიზიკური დათვალიერება;
 - ინტერვიუები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შპს „სანდასუფთავება“ დაფუძნებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. პარტნიორს აქვს წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით. წლიური შედეგებით შემოსავალი შეადგენს: 2021 წელს – 12,504,469 ლარს, 2022 წელს – 14,533,039 ლარს; მიღებულია ფინანსური მოგება 2021 წელს – 596,644 ლარი, 2022 წელს – 636,911 ლარი, ხოლო საოპერაციო მოგება 2021 წელს – 118,436 ლარი, 2022 წელს – 133,577 ლარი; გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს – 6,432,362 ლარს.

იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა N55.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შემოსავალი

2.1.1 შემოსავლის მიღებაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციებით,¹ სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა. აღნიშნული მიზნის უზრუნველსაყოფად, შპს „სანდასუფთავების“ მიერ კომერციულ ბანკებთან² გაფორმებულია ხელშეკრულებები საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შესახებ.

ფაქტობრივი გარემოება: შპს „სანდასუფთავების“ შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა კომერციულ ბანკებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საბანკო ანგარიშებზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს არსებული ნაშთიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი. სხვადასხვა ბანკში 2021-2022 წლებში, 1 იანვრის მდგომარეობით, ირიცხებოდა თავისუფალი ფულადი სახსრების აუთვისებელი ნაშთი – 8,721,438 ლარი, ხოლო ამავე პერიოდში ფულადი სახსრების ბრუნვა შეადგენს 28,164,695 ლარს.³ ამ პირობებში „სანდასუფთავებას“ მიღებული აქვს საპროცენტო სარგებელი 1,544,953 ლარი,⁴ თუმცა ამავე პერიოდში სხვა ისეთ კომერციულ ბანკებში, სადაც საპროცენტო სარგებლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, ნაშთად ირიცხება 1,777,331 ლარი, ხოლო ბრუნვა შეადგენს 25,359,226 ლარს⁵.

დასკვნა

შპს „სანდასუფთავებამ“ სათანადოდ ვერ უზრუნველყო თავისუფალი ფულადი სახსრების მართვა, რაც დამატებითი შემოსავლის მიღებას უზრუნველყოფდა.

რეკომენდაცია N1

შპს „სანდასუფთავებას“

შემუშავდეს ისეთი კონტროლის და მართვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებით დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 2.

² სს „ლიბერთი ბანკი“; სს „თიბისი ბანკი“.

³ 2021 წელი: ნაშთის ჯამი - 4,477,811 ლარი, ბრუნვა - 8,609,872 ლარი; 2022 წელი: ნაშთის ჯამი - 4,243,627 ლარი, ბრუნვა - 19,554,823 ლარი.

⁴ სს „თიბისი ბანკი“ - 592,994 ლარი; სს „ლიბერთი ბანკი“ - 951,959 ლარი.

⁵ 2021 წელი - სს „საქართველოს ბანკი“: ნაშთი - 903,153 ლარი, ბრუნვა - 11,859,582 ლარი; სს „თიბისი ბანკი“: ნაშთი - 1,278 ლარი, ბრუნვა - 1,750 ლარი; სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“: ნაშთი - 79,615 ლარი, ბრუნვა - 25,841 ლარი. 2022 წელი - სს „საქართველოს ბანკი“: ნაშთი - 773,670 ლარი, ბრუნვა - 13,466,089 ლარი; სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“: ნაშთი - 19,615 ლარი, ბრუნვა - 5,964 ლარი. ამასთანავე, სხვადასხვა პერიოდში ყოველდღიურად ნაშთად ირიცხება, მაგ: სს „საქართველოს ბანკი“ - 12.03.2021 - 1,267,444 ლარი; 19.03.2021 - 1,232,042 ლარი; 31.03.2021 - 1,220,713 ლარი; 02.09.2021 - 2,228,200 ლარი; 2022 წელი, 03.02.2022 - 1,055,990 ლარი; 30.03.2022 - 1,809,670 ლარი; 30.09.2022 - 1,177,345 ლარი; 03.11.2022 წელი - 1,168,499 ლარი; 12.12.2022 - 1,117,716 ლარი და სხვ.

2.2 სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი

კრიტერიუმი: შპს „სანდასუფთავების“ ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილია⁶ საწვავის ხარჯის ოდენობა, ხოლო შპს „სანდასუფთავებაში“ დასაქმებულთა უფლებამოსილების განხორციელებისათვის ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, დირექტორის ბრძანებით, დაწესებულია საწვავის ლიმიტები. მოქმედი რეგულაციებით,⁷ ერთობლივი შემოსავლიდან საწვავის ხარჯის გამოსაქვითად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ სააღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფილ იქნეს შემენილი და გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დოკუმენტური დადასტურება.

2.2.1 საწვავის ხარჯვაში არსებული ხარვეზები

ფაქტობრივი გარემოება N1: შპს „სანდასუფთავების“ საბალანსო მონაცემებით აუდიტის პერიოდში ირიცხება 65 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომლებზეც ნაჩვენებია გაცემულად და ჩამოწერილია – 1,995,533 ლარის⁸ ღირებულების 766,669 ლიტრი საწვავი. ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ჩამოწერა განხორციელებულია ჩასხმის ოდენობის მიხედვით. აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩევით განხორციელდა 2021-2022 წლებში, ჯამში: 48 ერთეულ ავტომანქანაზე ჩამოწერილი 522,573 ლიტრი საწვავის ექსპერტის მიერ დადგენილ ნორმებთან შესაბამისობა. შედეგად ირკვევა, რომ ფაქტობრივად დადგენილ ნორმასთან შეუსაბამოდ ჩამოწერილია 147,770 ლიტრი საწვავი.⁹

გარდა აღნიშნულისა, შპს „სანდასუფთავების“ მიერ 2021-2022 წლებში, ჯამში: 22 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ხარჯვის ნორმებთან დაკავშირებით არაა წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნები. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 94,727 ლიტრი¹⁰ საწვავის ნორმის შესაბამის ხარჯვაზე.

ფაქტობრივი გარემოება N2: შპს „სანდასუფთავებას“ ფიზიკური პირებიდან 43 შემთხვევაში უსასყიდლო სარგებლობაში, თხოვნის ფორმით მიღებული აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემდგომ საზოგადოების ხელმძღვანელის ბრძანებით, მიმაგრებულია შპს-ის თანამშრომლებზე და გამოყოფილია საწვავის ხარჯის ლიმიტი. აღნიშნულ ავტომანქანებზე აუდიტის პერიოდში სულ ჩამოწერილია 52,795 ლიტრი საწვავი. წარმოდგენილი დოკუმენტებით თხოვნის ფორმით მიღებული სატრანსპორტო საშუალებების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება არ დასტურდება.¹¹

⁶ ექსპერტიზის დასკვნები: N002081819, 28.03.2019 წელი; N006427019, 12.09.2019 წელი; N004066821, 16.06.2021 წელი. წარმოდგენილი დოკუმენტებით წვის ნორმა განსაზღვრულია 48 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე. შპს „სანდასუფთავება“ არ ეთანხმება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2021 წლის დასკვნას და იყენებს ძველი პერიოდის 2019 წლის დასკვნას, რომლის მიხედვითაც კი, თავად ადასტურებენ 163,625 ლარის ღირებულების 65,450 ლიტრი საწვავის გადახარჯვას.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანება „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე (ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი“, მუხლი 1, პუნქტი 3, „გ“ ქვეპუნქტი.

⁸ 2021 წელი - 378,812 ლიტრი, ღირებულება - 796,829 ლარი; 2022 წელი - 387,857 ლიტრი, ღირებულება - 1,198,704 ლარი.

⁹ 1 ლიტრის საშუალო ფასი 2,603 ლარი X 147,770 ლიტრი = 384,624 ლარი.

¹⁰ 2021 წელი, 7 ერთეული - 8,631 ლიტრი; 2022 წელი, 15 ერთეული - 86,096 ლიტრი, ჯამში: 94,727 ლიტრი, საშუალო ფასი - 2,60 ლარი, სულ ხარჯი: 246,290 ლარი.

¹¹ საწვავის ხარჯი - 131,805 ლარი, საშემოსავლო გადასახადი - 30,189 ლარი, დღგ - 25,460 ლარი, საპენსიო ფონდი - 3,079 ლარი.

დასკვნა	შპს „სანდასუფთავებაში“ არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამსახურებრივი დანიშნულებით საწვავის ხარჯვის დადასტურებას. შედეგად, ბალანსზე რიცხულ ავტომატურად ექსპერტის მიერ დადგენილ ნორმასთან შედარებით ზედმეტად ჩამოწერილია არანაკლებ 147,770 ლიტრი საწვავი. ამასთანავე, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით მიღებული ავტომატურად სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების დადასტურების გარეშე ჩამოწერილია 94,727 ლიტრი საწვავი.
რეკომენდაცია N2 შპს „სანდასუფთავებაში“	შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე ექსპერტის მიერ დადგენილი ნორმის შესაბამისად საწვავის ხარჯვას. ამასთანავე, პარტნიორთან შეთანხმებით, გონივრულ ვადაში განიხილოს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით მიღებული ავტომატურად სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების, საწვავის ხარჯვის და ფინანსური ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობის მდგომარეობა.
2.3 ბაზრის კვლევა 2.3.1 ბაზრის კვლევის ხარვეზები	კრიტერიუმი: შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის კვლევის შედეგები.¹² ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვებისა), წლიური გეგმის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების/დადგენის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.¹³ ფაქტობრივი გარემოება: რიგ შემთხვევებში შპს „სანდასუფთავების“ მიერ ბაზრის კვლევა განხორციელებულია არასრულყოფილად, კერძოდ, არ არის შექმნილი სრული სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა ვინაობის, არეალის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე.¹⁴ აღნიშნულმა განაპირობა, რომ ცალკეულ შემთხვევებში საკონტრაქტო ფასებსა და სავარაუდო ღირებულებებს შორის არის მნიშვნელოვანი სხვაობები. 2021-2022 წლებში 62 შემდგარი ტენდერიდან, 14 შემთხვევაში¹⁵ სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1,126,884 ლარით, შესყიდვის პროცედურების შედეგად პრეტენდენტების მიერ სავარაუდო ღირებულება შემცირდა 368,001 ლარით და შეადგინა 758,883 ლარი, მათ შორის, დიდი ოდენობით შემცირებულია: მინდვრის

¹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 6, „ე“ ქვეპუნქტი.

¹³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 6.

¹⁴ NAT 220001712, ერთი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ფასების ცხრილები, ხოლო მეორე პრეტენდენტს წარმოდგენილი აქვს 16.12.2022 წელს გაცემული ინვოისი, თუმცა ხელშეკრულება გაფორმებულია 22.02.2022 წელს; NAT 220004037; NAT 220006471; NAT 22001769, წარმოდგენილია მხოლოდ ფასების ცხრილები, არაა წარმოდგენილი ტექნიკური დავალების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია და სხვ.

¹⁵ NAT 220001712; NAT 220004037; NAT 220006471; NAT 220007542; NAT 220017697; NAT 200019537; NAT 200020295; NAT 210003605; NAT 210005016; NAT 210004822; NAT 210008960; NAT 210006091; NAT 210012108; NAT 210016884.

ცოცხების შესყიდვის ფასი – 26,600 ლარით (53%-ით); ავტომატების შეკეთება-მომსახურების ფასი – 110,095 ლარით (45,91 %-ით); ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების აუდიტორული მომსახურების ფასი – 24,200 ლარით (35,7%-ით) და სხვ.

დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბაზრის კვლევა სათანადოდ არ არის ჩატარებული, რომლის შედეგად 14 შემთხვევაში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებით შემცირებულია 368,001 ლარით. აღნიშნული გარემოება ერთი პრეტენდენტის არსებობის პირობებში წარმოშობს ფულადი სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია N 3

შპს „სანდასუფთავებას“

შპს „სანდასუფთავების“ ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნით შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის სრულფასოვნად ჩატარებას და შესყიდვის საგნის სავარაუდო ფასის სწორად განსაზღვრას.

2.4 შრომის ანაზღაურება

2.4.1 შრომის ანაზღაურების ხარვეზები

კრიტერიუმი: შპს „სანდასუფთავების“ მიერ ნარჩენების გატანის მომსახურება რეგულირდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით,¹⁶ ხოლო აღნიშნული მომსახურებისათვის დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების გაცემა რეგულირდება შპს-ის მიერ დამტკიცებული ნორმის მიხედვით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობის¹⁷ შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოება N1: შპს „სანდასუფთავებას“ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ანაზღაურების გატანის მომსახურებისათვის, ფაქტობრივად გატანილი ნარჩენების წონის შესაბამისად,¹⁸ მიღებული აქვს 8,741,800 ლარი. შპს-ის დირექტორის ბრძანებით, ერთი ტონა მასის გატანისათვის ავტომატების პარამეტრების მიხედვით დამტკიცებულია გასაცემი შრომის ანაზღაურების სხვადასხვა¹⁹ ნორმა. აღნიშნულ მომსახურებაზე დასაქმებულია 126 პირი და ფაქტობრივად გატანილი წონის გათვალისწინებით, გაცემულია შრომის ანაზღაურება, ჯამში – 3,225,281 ლარი.²⁰ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში,

¹⁶ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ანაზღაურების გატანის მომსახურება: NAT200017726, ხელშეკრულება N156, 30.12.2020 წელი, გასატანი ნარჩენების წონა - 82,000 ტონა, ნაჩვენებია გატანილად 82,000 ტონა, მიღებულია 3,845,800 ლარი, ერთი ტონის გატანის ფასი - 46,9 ლარი. NAT 210022100, ხელშეკრულება N156, 31.12.2021 წელი, გასატანი ნარჩენების წონა - 90,000 ტონა, გატანილად ნაჩვენებია 90,000 ტონა, მიღებულია 4,896,000 ლარი, ერთი ტონის გატანის ფასი - 54,40 ლარი, სულ ჯამში გატანილია 172,000 ტონა, მიღებულია 8,741,800 ლარი.

¹⁷ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 თებერვლის N814. 14210429 ბრძანება, მასში განხორციელებული ცვლილებებით; შპს „სანდასუფთავების“ დირექტორის 2019 წლის 22 აპრილის N361 ბრძანება, მასში განხორციელებული ცვლილებებით.

¹⁸ ერთი ტონის გატანის ფასი: 2021 წელი - 46,9 ლარი, 2022 წელი - 54,40 ლარი.

¹⁹ ერთი ტონა ნარჩენის გატანა: სპეცტექნიკით - 3,5 ლარი; „ისუზუს“ მარკის სპეცტექნიკით - 5,0 ლარი; შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან - 7,5 ლარი და სხვ. ანალოგიურად, ერთი ტონა ნარჩენების დატვირთვა: სპეცტექნიკაზე - 5,40 ლარი; „ისუზუს“ მარკის სპეცტექნიკაზე - 7,60 ლარი; ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში - 10,20 ლარი და სხვ.

²⁰ 2021 წელი, დასაქმებული - 125 პირი, გაცემული შრომის ანაზღაურება - 1,462,125 ლარი; 2022 წელი, დასაქმებული - 126 პირი, გაცემული შრომის ანაზღაურება - 1,763,156 ლარი, ჯამში: 3,225,281 ლარი.

სათანადო დასაბუთების გარეშე ცალკეული პირები დასაქმებული არიან მხოლოდ მაღალანაზღაურებად სატრანსპორტო საშუალებებზე.²¹ ამასთანავე, ხშირ შემთხვევებში²² ფიქსირდება ავტომანქანების მიერ გატანილი ნარჩენის ზუსტი წონები, კერძოდ: 7,760 ტონა – 10-ჯერ; 7,820 ტონა – 10-ჯერ; 8,020 ტონა – 14-ჯერ; 7,360 ტონა – 10-ჯერ; 9,060 ტონა – 11-ჯერ; 7,700 ტონა – 12-ჯერ; 3,880 ტონა – 18-ჯერ; 3,820 ტონა – 17-ჯერ; 4,020 ტონა – 27-ჯერ; 8,400 ტონა – 12-ჯერ, რაც შპს-ის საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ნაკლებად სარწმუნოა, ხოლო ერთი და იმავე პარამეტრების ავტოსატრანსპორტო საშუალებების სხვადასხვა პერიოდში აწონვის მაჩვენებლებში ფიქსირდება ტრანსპორტის ტარის წონის არსებითი სხვაობები,²³ კერძოდ, ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე რიგ შემთხვევებში აწონვის შედეგებში ფიქსირდება: ტარის წონა – 12,100 კგ, ხოლო სხვა პერიოდის მონაცემებში – 1,220 კგ-ით მეტი (ანუ: 13,320 კგ); ანალოგიურად სხვა პარამეტრების სატრანსპორტო საშუალებაზე დაფიქსირებულია ტარის წონა – 9,880 კგ, თუმცა შემდგომი პერიოდის აწონვის მონაცემებში ფიქსირდება 3,180 კგ-ით მეტი – 13,060 კგ და სხვ. აღნიშნული პრაქტიკულად არასარწმუნოა, შეუძლებელია და მონაცემების არასწორად ასახვაზე მიანიშნებს, ამასთანავე, შპს-ის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების და შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯების შეუსაბამოების რისკებზე მიუთითებს.

დასკვნა

შპს „სანდასუფთავებაში“ არსებულმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ანაზღაურების ფაქტობრივად გატანილი მოცულობების დადგენაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა, ვერ მივიღეთ რწმუნება შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯი და მომსახურებისათვის მიღებული შემოსავალი რამდენად შეესაბამება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობას.

რეკომენდაცია N4

შპს „სანდასუფთავებას“

შპს „სანდასუფთავებამ“ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ანაზღაურების გატანის მომსახურების მიმდინარეობაზე ეფექტიან ზედამხედველობას, ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას; ამასთანავე, დაადგინოს არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

²¹ მუდმივად ერთი და იგივე მძღოლი დასაქმებულია იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, სადაც ერთი ტონა ნარჩენის გატანის ანაზღაურება შეადგენს 5,5 ლარს, ხოლო სხვა მძღოლები დასაქმებული არიან იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, სადაც ერთი ტონა ნარჩენის გატანის ანაზღაურება შეადგენს 3,5 ლარს, 3,80 ლარს და სხვ. ანალოგიური მიდგომათა დასაქმებული მტვირთავიც.

²² შემთხვევითი შერჩევით შერჩეულია 11 სატრანსპორტო საშუალება (CC-294-GG; CC-295-GG; HY-451-YH; HY-452-YH; MH-468-HM; MH-469-HM; MH-471-HM; MH-472-HM; MK-454-KM; XX-983-XG; YY-709-ZZ), რომელთაც ჯამში 4,859-ჯერ აქვთ განხორციელებული ნარჩენების გატანა, სადაც 3,168 შემთხვევაში დაფიქსირებულია ნარჩენების თანაბარი წონები: 7,760 ტონა – 10-ჯერ; 7,820 ტონა – 10-ჯერ; 8,020 ტონა – 14-ჯერ; 7,360 ტონა – 10-ჯერ; 9,060 ტონა – 11-ჯერ; 7,700 ტონა – 12-ჯერ; 3,880 – 18-ჯერ; 3,820 – 17-ჯერ; 4,020 – 27-ჯერ; 8,400 – 12-ჯერ და სხვ.

²³ ავტომანქანის ტარის ფაქტობრივ/მინიმალურ წონასთან შედარებით მაქსიმალური სხვაობა: CC-294-GG – 2,160 კგ; CC-295-GG – 800 კგ; HY-452-YH – 640 კგ; MH-471-HM – 1,000 კგ; MH-472-HM – 920 კგ; XX – 983 – XG – 1,020 კგ; YY – 709 – ZZ – 2,260 კგ; HY-451-YH – 820 კგ; MH-468-HM – 1,120 კგ; MH-469-HM – 2,640 კგ; MK-454-KM – 3,180 კგ და სხვ. ჯამში: 11 ავტომანქანაზე ჯამური სხვაობა ტარის მაქსიმალურ და მინიმალურ წონებს შორის შეადგენს: 2021 წელი – 37,460 ტონა; 2022 წელი – 37,160 ტონა, სულ ჯამში: 74,620 ტონა.

2.5 კონტროლის სისუსტეები

2.5.1 პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების ხარვეზები

ფაქტობრივი გარემოება: შპს „სანდასუფთავების“ მიერ საოფისე კონტეინერების შესყიდვა-რემონტისათვის 2021 წელს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²⁴ უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განხორციელდა დოკუმენტების არასწორად დაზუსტების მოტივით.²⁵ კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, მეორე პრეტენდენტმა დააზუსტა დოკუმენტაცია და 29,498 ლარით გამოცხადებულია გამარჯვებულად.²⁶ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში, შეთავაზებული ჯამური ღირებულება ფაქტობრივად შეადგენდა დაზუსტებულ ფასზე მეტს, 29,566 ლარს, რაზეც კომისიას არ უმსჯელია.²⁷

ანალოგიური სახის ხარვეზითაა ჩატარებული ავტომატური ფილტრების შესყიდვა.²⁸ სატენდერო კომისიამ შეაფასა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი და მოითხოვა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტები,²⁹ თუმცა ორი დღის შემდეგ კომისიამ განმეორებით იმსჯელა, გამოავლინა სხვა უზუსტობები³⁰ და მიეცა დისკვალიფიკაცია.

2.5.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორების ხარვეზები

ფაქტობრივი გარემოება: შპს „სანდასუფთავების“ 2020-2022 წლების ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების აუდიტორული მომსახურებისათვის გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში³¹ გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ და გაფორმებულია ხელშეკრულება. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადახდილია ხელშეკრულების სრული ფასი, ჯამში – 76,700 ლარი.

ორივე შესყიდვის შემთხვევაში სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულია, რომ მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების აუდიტორული მომსახურება და წარმოადგინოს დასკვნა. წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნებით ირკვევა, რომ მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს დასკვნა მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით დასკვნა არ წარმოუდგენია. ფინანსური ანგარიშგების დასკვნის ნაწილში – „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“, ერთ პუნქტად ასახულია ჩანაწერი, რომ აუდიტის პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე. სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე, რომ უნდა წარმოედგინა დასკვნა მმართველობის ანგარიშგებაზე, აუდიტორული კომპანიის ჩანაწერით არ დასტურდება და არც წარმოუდგენია. კანონის შესაბამისად, მმართველობის ანგარიშში არ მოიცავს მხოლოდ საქმიანობის მიმოხილვას, იგი მოიცავს აგრეთვე კორპორაციული მართვის ანგარიშგებას და არაფინანსურ ანგარიშგებას, სატენდერო წინადადებაში კი არ არის გამიჯნული, რომ მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა მხოლოდ საქმიანობის მიმოხილვის შესახებ დასკვნა და არ უნდა წარმოედგინა დასკვნა კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონით საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს: სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს; არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან; განვითარების გეგმებს; სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვას; ინფორმაციას სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ; სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი

ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ, რაზედაც დასკვნა წარმოდგენილი არ არის.

გამომდინარე იქიდან, რომ სატენდერო წინადადებაში არ არის გამიჯნული ცალკე მმართველობის ანგარიშების დასკვნის შედგენისათვის მომსახურების გადასახდელი თანხის ოდენობა, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას ზედმეტად ანაზღაურებული თანხის ოდენობაზე.

დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა და შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გაწეული მომსახურების ანაზღაურება, რიგ შემთხვევებში ხარვეზებითაა განხორციელებული.

რეკომენდაცია N5

შპს „სანდასუფთავების“ ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვან მიდგომას, განსახორციელებელი მომსახურების სათანადო მონიტორინგს და ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების მიხედვით თანხების ანაზღაურებას.

შპს „სანდასუფთავება“

აუდიტორები

ხელმოწერა

ნადიმ ბოლქვაძე

მთავარი აუდიტორი

ჯგუფის უფროსი

გიორგი აბულაძე

აუდიტორი

ნ. ბოლქვაძე

გ. აბულაძე

²⁴ NAT 210004601, 12.03.2021 წელი, საოფისე კონტეინერების შესყიდვა-რემონტი. სავარაუდო ღირებულება - 32,095 ლარი. მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი, ფასებით: შპს „იმპექსი“ - 29,999 ლარი; ი/მ ზურაბ მესხი - 29,500 ლარი; შპს „ნ.ნ. გელიტა“ - 25,677 ლარი.

²⁵ ფასების ცხრილში, ახალი ბულვარის ხარჯთაღრიცხვა, მე-4 პოზიცია არ არის განფასებული, კერძოდ, მილკვადრატი - 12მ X12 ლარზე, ფასი - 144 ლარი, არაა ასახული საერთო ფასის მაჩვენებელში.

²⁶ ხელშეკრულება N სშ21-077. 15.04.2021 წელი, ფასი - 29,498 ლარი. სატენდერო კომისიის ოქმი N5, 08.04.2021 წელი.

²⁷ ფასების ცხრილში, ახალი ბულვარის ხარჯთაღრიცხვა, მე-4 პოზიცია, მილკვადრატი - 12მX12 ლარზე, ფასი ასახულია - 120 ლარი, ფაქტობრივად შეადგენს 168 ლარს. შედეგად, ჯამში შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება ნაცვლად 29,498 ლარისა, შეადგეს 29,566 ლარს, ანუ დაზუსტებულ ფასთან შედარებით 67 ლარით მეტს.

²⁸ NAT 220006471, 31.03.2022 წელი, ავტომანქანის ფილტრების შეძენა. სავარაუდო ღირებულება - 32,725 ლარი. მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი, ფასებით: შპს „იმო მოტორსი“ - 28,790 ლარი; შპს „განახლება“ - 24,950 ლარი; შპს „მათ მოტორსი“ - 21,828 ლარი.

²⁹ მწარმოებლის (ან ოფიციალური დილერის) ინვოისი, მწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და საბაჟო დეკლარაცია.

³⁰ პირველი დაზუსტების დროს არ იყო იდენტიფიცირებული უზუსტობები, საწვავისა და საჰაერო ფილტრები წარმოდგენილია ერთი და იმავე სერიული ნომრით.

³¹ NAT 210008960, 03.06.2021 წელი, სავარაუდო ღირებულება - 69,000 ლარი. მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი, ფასებით: შპს „მოთრ ეიბისი“ - 68,309 ლარი; შპს „კონსაუდი“ - 65,550 ლარი; შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - 44,800 ლარი. გაფორმებულია ხელშეკრულება N სშ21-103, 03.06. 2021 წელი, შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“, ფასი - 44,800 ლარი. NAT 230009445, 23.05.2023 წელი, სავარაუდო ღირებულება - 80,000 ლარი. მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, ფასით: შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - 63,800 ლარი. ხელშეკრულება N სშ23-125, 23.05.2023 წელი, შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“, ფასი - 63,800 ლარი.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული
ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE